ივნისი, 2021 წ.

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- მაისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 25.8% შეადგინა
- მაისში წლიური ინფლაცია 9.9%-ს გაუტოლდა
- ივნისში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 7.0%-ით, ხოლო ევროს მიმართ 7.8%-ით გამყარების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი

მაისში დადებითი ეკონომიკური ზრდა 25.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მაისში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 25.8% შეადგინა.
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა [1] 20.3% შეადგინა.



ივნისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 9.9%-ს შეადგენს.
წინა წლის ივნისთან მიმართებით, 2021 წლის ივნისში ინფლაციის დონე 9.9 %-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე და აირზე. 2021 წლის მაისში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 8.2% შეადგინა.



მაისში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.
2021 წლის მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 13.9%-ით გაიზარდა ხოლო ხარჯები 15.6%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 146 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 361.6 მლნ ლარით განისაზღვრა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.

მაისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.
წინა წლის მაისთან მიმართებით, 2021 წლის მაისში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 16.3%-ით მოიმატა და 38.8 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 26.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 8.9%-ით გაიზარდა.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-მაისში, წინა წლის იმავე პერიოდებთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.
წინა წლის იანვარ-მაისთან შედარებით, 2021 წლის იანვარ-მაისში ექსპორტი 24.4%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 15.7%-ით, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის გაზრდით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.6%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა უკრაინაში (72%-ით), თურქეთში (63%-ით), ჩინეთში (62%-ით) და რუსეთში (30%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი ესპანეთში (36%-ით), ბულგარეთში (29%-ით) და შვეიცარიაში (23%-ით).



მაისში ფულადი გზავნილები გაიზარდა.
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მაისში ფულადი გზავნილები 42.4%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42%), რუსეთი (16.9%) და აშშ (12.9%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (115%-ით), უკრაინიდან (110%-ით), გერმანია (70%-ით) რუსეთიდან (61%-ით), აშშ-დან (59%-ით) და იტალიიდან (16%-ით).



2021 წლის ივნისში საერთაშორისო რეზერვებმა 3,918 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
2021 წლის ივნისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 3,918 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 8.4%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 5.7%-ით შემცირდა. 2021 წლის ივნისში ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციებით ოპერაციები არ განუხორციელებია.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.
წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2021 წლის მაისში სარეზერვო ფულის მასა 14.1%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 17.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 20.3%-ს გაუტოლდა. მაისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 7.7% შეადგინა.



მაისში, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე ასევე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
2021 წლის მაისში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.14%-ული პუნქტით შემცირდა და 62.1%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 1.48%-ული პუნქტით შემცირდა და 54.19% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2021 წლის მაისში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.7%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი 3.1%-ით შემცირდა.



მაისში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.8%-ული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა.
2021 წლის მაისში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 11.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2021 წლის მაისის მდგომარეობით 4.8% შეადგინა, 1.7%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის მაისთან შედარებით.



ივნისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გამყარების ტენდენციას ავლენს.
2021 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.0%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 7.8%-ით. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.8%-ით, ევროს მიმართ კი 10.2%-ით გაუფასურდა.



4. რეგიონული მიმოხილვა

ივნისში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, 2021 წლის ივნისში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 17.5% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (6.5%) და სომხეთში (6.5%). რაც შეეხება აზერბაიჯანს*, 2021 წლის მაისის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4.9%-ით მოიმატა.



ივნისში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.
კერძოდ, 2021 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (20.7%-ით), რუსული რუბლი (4.4%-ით), სომხური დრამი (6.2%-ით), ხოლო აზერბაიჯანული მანათი უმნიშვნელოდ (0.02%-ით).



შემაჯამებელი ცხრილი[2] ზრდა კლება ცვლილება < 1%

		მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი														
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი														
მონეტარული სექტორი	ინფლაცია														
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი														
	დეპოზიტების დოლარიზაცია														
	სესხების დოლარიზაცია														
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი														
	გზავნილები														
	ექსპორტი														
	იმპორტი														
	სავაჭრო ბალანსი														
	საერთაშორისო რეზერვები														
ფისკალური სექტორი	შემოსავლები														
	მიმდინარე ხარჯები														
	კაპიტალური ხარჯები														

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21	თებ 21	მარ 21	აპრ 21	მაისი 21	ივნ 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი														
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი														
მონეტარული სექტორი	ინფლაცია														
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი														
	დეპოზიტების დოლარიზაცია														
	სესხების დოლარიზაცია														
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი														
	გზავნილები														
	ექსპორტი														
	იმპორტი														
	სავაჭრო ბალანსი														
	საერთაშორისო რეზერვები														
ფისკალური სექტორი	შემოსავლები														
	მიმდინარე ხარჯები														
	კაპიტალური ხარჯები														

**ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

[2] გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.